თანხმობის წერილი

წინამდებარე დოკუმენტზე ხელმოწერით, შპს „ანი“ ს.ნ 211322610 წარმოდგენილი მისი დირექტორის ვარულ ჭიპაშვილის პ.ნ 01001014302 სახით, (შემდგომში „მესაკუთრე/მეიჯარე“), როგორც ქ. თბილისში, ვაჟა-ფშაველას გამზირი #22-ში, მდებარე 601.80 კვ.მ.-დან 400 კვ.მ კომერციული ფართი (საკადასტრო კოდი: # 01.10.15.010.035.01.03.500) და 170.10 კვ.მ.-დან 90 კვ.მ სარდაფის (საკადასტრო კოდი: # 01.10.15.010.035.01.03.501) ფართის (შემდგომში „უძრავი ქონება/საიჯარო ფართი) მესაკუთრე, თანხმობას ვაცხადებ, წინამდებარე დოკუმენტის დანართი N1-ის შესაბამისად, შპს სილქ გასტრონომმა (ს/ნ 418473547) (შემდგომში „მოიჯარე“) განახორციელოს გარე ფასადის ცვლილება.

წინამდებარე დოკუმენტზე ხელმოწერით, მეიჯარე/მესაკუთრე ასევე აცხადებს გამოუთხოვად თანხმობას, უძრავი ქონების/საიჯარო ფართის გარე ფასადზე განსახორციელებლი სამუშაოების შესრულების მიზნით, მოიჯარემ მიმართოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ნებისმიერ სამსახურს და განახორციელოს ამისთვის საჭირო ნებისმიერი ქმედება.

დანართი N1. ფოტო - მონტაჟი

პატივისცემით,

შპს „ანი“ ს/ნ 211322610
დირექტორი
ვარულ ჭიპაშვილი

29 ნოემბერი, 2023წ.

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი	N231646776
სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი	29.11.2023 წ
სანოტარო მოქმედების დასახელება	ხელმოწერის ნამდვილობის დამოწმება
ნოტარიუსი	ნინო მათუაშვილი
სანოტარო ბიუროს მისამართი	ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ. 10
სანოტარო ბიუროს ტელეფონი	2 38 36 32 591 70 99 74
სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი	83570885610823

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

ორი ათას ოცდასამი წლის ოცდაცხრა ნოემბერს მე – საქართველოს ნოტარიუს ნინო მათუაშვილს, რომლის სანოტარო ბიურო, მდებარეობს მისამართზე: ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ. №10, მომმართა **ვარულ ჭიპაშვილმა** (დაბ. 17.09.1969წ., პირადი #01001014302, მისამართი: ქალაქი თბილისი, გლდანის მასივი, ა მიკრო/რაიონი, კორპუსი 61, ბინა 40).

მან წარმოადგინა **თანხმობის წერილი** *და მთხოვა მასზე თავისი ხელმოწერის ნამდვილობის სანოტარო წესით დამოწმება. მე დავადგინე მხარის პირადობა მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტებით და სსგს ელექტრონული მონაცემთა ბაზის საფუძველზე და დავრწმუნდი, რომ მე ნამდვილად ზ/აღნიშნულმა პირმა მომმართა. მე შევამოწმე მისი ქმედუნარიანობა, და ვადასტურებ რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ არსებობს; აგრეთვე დავრწმუნდი მისი ნების გამოვლენის ნამდვილობაში. შემდეგ მხარემ ჩემი თანდასწრებით წაიკითხა დოკუმენტი და პირადად მოაწერა ხელი წარმოდგენილ დოკუმენტს. ხელმომწერ პირს განვუმარტე, რომ მე ვადასტურებ ხელმოწერის სინამდვილეს და პასუხს არ ვაგებ დოკუმენტის შინაარსზე და სამართლებრივ შედეგზე. ნოტარიუსის თანდასწრებით, დოკუმენტზე ხელმოწერა შესრულებულია ერთ გვერდზე და გაცემულია ერთ ეგზემპლარად.*

გადახდილია სანოტარო მომსახურების საზღაური „სანოტარო მოქმედებათა შესრულებისთვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის დადგენილება № 507-ისა (29.11.2011 წ.) და ამ დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე საქართველოს მთავრობის 2022 წლის 30 მაისის დადგენილება № 272-ის 31-ე მუხლის საფუძველზე 6 ლარი, 39-ე მუხლის საფუძველზე 5 (ხუთი) ლარი და საგადასახადო კოდექსის 166-ე მუხლის საფუძველზე დ.ღ.გ. – 1.08 ლარი.

ნოტარიუსი ნინო მათუაშვილი



დანართი N1



ელემენტებისთვის გამოყენებული იქნება მსუბუქი დეკორატიული საფასადე მასალები